ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5056336

ნომერი: AR1739664

თარიღი : 22.05.2020

გაცემის თარიღი : 06.08.2020

გაცნობის თარიღი : 06.08.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბოგდან ხმელნიცკი , N 8 , მიმდებარედ , ნაკვეთი 26/088;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რომანი აბრამიშვილი პ/ნ 10001009410
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი, N 32ა, ბინა 34

ორგანიზაცია:

- შ.პ.ს დეველოპმენტ გრუპ ჯორჯია კოდი: 405252710

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 6 თებერვლის №4850178 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 22 მაისს №AR1739664 განცხადებით მომართა რომანი აბრამიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 6 თებერვლის №4850178 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ემუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის მიერ 2020 წლის 6 თებერვლის №4850178 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, ქუჩა ბოგდან ხმელნიცკი, №8, მიმდებარედ, ნაკვეთი 26/088, №01.17.11.026.112 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 6 თებერვლიდან 2022 წლის 6 თებერვლის ჩათვლით.

წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 6 თებერვლის №4850178 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ განმცხადებელს სურს, საცხოვრებელი ფართობად 2919.8 კვ.მ-ის ნაცვლად 2568 კვ.მ-ის, საოფისე ფართობად 332.2 კვ.მ-ის ნაცვლად 698.9 კვ.მ-ის, კომერციული ფართობად 423.3 კვ.მ-ის ნაცვლად 326.7 კვ.მ-ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1093.1 კვ.მ-ის ნაცვლად 1021.8 კვ.მ-ის, დამხმარე ფართობად 73.4 კვ.მ-ის ნაცვლად 58.8 კვ.მ-ის, ავტოსადგომის ფართობად 689.6 კვ.მ-ის ნაცვლად 606.8 კვ.მ-ის დაფიქსირება.

სამსახურმა გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ დადგენილ იქნა, რომ 2020 წლის 6 თებერვლის №4850178 ბრძანებაში საცხოვრებელი ფართობი უნდა იყოს 2568 კვ.მ., საოფისე ფართობი - 698.9 კვ.მ., კომერციული ფართობი - 326.7 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი - 1021.8 კვ.მ., დამხმარე ფართობი - 58.8 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი - 606.8 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობი - 5629.7 კვ.მ. ამასთან, გეგმები არ იცვლება, ხდება გეგმებზე მხოლოდ ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 6 თებერვლის №4850178 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 6 თებერვლის №4850178 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელი ფართობად დაფიქსირდეს - 2568 კვ.მ., საოფისე ფართობად - 698.9 კვ.მ., კომერციული ფართობად - 326.7 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 1021.8 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 58.8 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 606.8 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად - 5629.7 კვ.მ.
2. სამსახურის 2020 წლის 6 თებერვლის №4850178 ბრძანებით შეთანხმებული -3.150, +0.00, 3.150, 6.300, 34.650 და 37.050 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 6 თებერვლის №4850178 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 6 თებერვლის №4850178 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.